1877—1898

№ 118

შაბათი, 6 ივნისი, 1898 წ.

...ვნისი, 1898 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

იბეჭდება და 15 თიბათვისათვის მზად იქნება გასასყიდად ახალი წიგნი:

## თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი.

წერილი პირველი

მ ე გ ა ხ ლ ა ვ ა რ-ისა.

წიგნი ეღირება 20 კაპ. წიგნების მაღაზიის პატრონებს ვთხოვთ, ეხლავე შეგვატყობინონ, რამდენის ცალის დაბარება ჰსურთ. ნაღდ ფულად წიგნი დაეთმობათ 12 კაპეიკად, კომისიით დაეთმობათ 20%. წინადვე დაბარება იმისთვის იქნება საჭირო, რომ ავტორი 20 თიბათვეს ტფილისიდგან გავა სოფლად.

ადრესი: „ივერიის" რედაქცია, შარაძეს. გარდაეცეს ბ-ნს მეგახლავარს. (10—უ.—3)

## მეაგარაკეთა საყურადღებოდ

**ქ. თელავში** ნადიკვარზედ მთელის ზაფხულის განმავლობაში (7-ს თიბათვიდგან 1-ს ენკენისთვემდის) **გაიცემა ქირით** სამი ოთახი, დიდის ბალკონით, სამზარეულოთი, საკუთარის ეზოთი, პატარა ხეხილიანის ბაღჩით, რომელშიაც არის წმინდა წყლიანი ჭა პირსაბანითა; მიეცემა სამზარეულო ავეჯეულობა, ქვაბებით, სააგარაკოდ საკმარისი სახლის ავეჯი და ჭურჭელი. მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით: Въ Телавъ, И. Зарапишвили. (15—უ.—12)

ქართული თეატრი

კვირას, 7 ივნისს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება მეორედ ახალი პიესა (შესწორებული):

I

## არკადიას სადილი

სცენები ჩვენი ვაჭრების ცხოვრებიდგან, 3 სურათად.

II

## ადამ და ევა

ვოდ. 2 მოქ., გად. დ. მესხის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი რჩეულოვისა, გალუსტოვისა, ბ-ნნი ადამიძე, საფაროვი, გალუსტოვი, თამაზიშვილი, ხიმშიაშვილი, გიორგიძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

ვისაც პარტერის ბილეთი ექნება, იმას ანტრაქტების დროს ბაღში უსასყიდლოდ შეუშვებენ. (2—უ.—1)

„წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების"

## სახალხო წიგნთ-საცავი,

რომელიც ავლაბარში, ვარდის მოედანზედ იმყოფებოდა, **გადატანილ** იქმნა ვერაზედ, ოლგას ქუჩაზედ, ისაკაძის სახლში, № 19. (2—უ.—1)

ქართული თეატრი

(სათავად-აზნაურო)

შაბათს, 6 ივნისს 1898 წ.

**ქართული საერო ხორო, ალ. კავსაძის** ლოტბარობით, გამართავს

## კონცერტს

ოთხ განყოფილებად

პროგრამმა შევსებულია ახალის სიმღერებით, სხვათა შორის, ხორო შეასრულებს „ფერხულს".

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

გამგე-ადმინისტრატორი ნ. გოცირიძე. (3—უ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი. —დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

ი. თ. ჩროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ბ. ბურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (წ)

## მთავრობის განკარგულებანი

ებრძეთ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლეჟსკი სოვეტნიკობა —ახალქალაქის სამაზრო ხაზინადარს მამაცაშვილს; გუბერნსკი რეგისტრატორობა—შუშის სამაზრო ხაზინის კანცელარიის მოხელეს თარხნიშვილს.

დანიშნულ იქმნა აზნაური ბენედიქტე ლოლობერიძე—კავკასიის სამხედრო საერო გამგეობის ბათუმის ოლქის ქვემო აჭარის ნაწილის თარჯიმნად.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 6 ივნისს, ქართულ თეატრში ქართული საერო ხორო, ა. კავსაძის ლოტბარობით, გამართავს კონცერტს. კონცერტი ოთხის განყოფილებისაგან შესდგება. ხორო შეასრულებს 22 სიმღერას, სხვათა შორის „ფერხულსაც". როგორც პროგრამიდგანა სჩანს, ხორო ამ საღამოს იმღერებს მრავალს ახალს სიმღერას. კავსაძემ თავისის მწყობრად და კარგად დაწყობილის ხოროთი უკვე დაიმსახურა ქართულის საზოგადოების ყურადღება, ამიტომ, იმედია, დღეს ამ კონცერტს ხალხი ბლომად დაესწრება.

*** ხუთშაბათს, 4 ივნისს, სახელმწიფო თეატრში გამართული იყო მეორე კონცერტი ბ-ნის ბალანჩივაძისა. მონაწილეობა მიიღეს ქ-ნმა სარაჯიშვილისამ, ბ-ნმა კარგარეთელმა და ქალთა და კაცთა ხორომ. კონცერტს ხალხი საკმაოდ დაესწრო. დაწვრილებით შემდეგ.

*** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ამიერ კავკასიის გარდასახადის ინსპექტორთ ნება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ იმ საკოლლეგიო დაწესებულებაში, რომელიც სწერს საერობო საკომლო გარდასა-

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

ამერიკელი ქალების მონაწილეობა ყოველ-გვარ საქმეში.—ერთად სწავლება ქალებისა და ვაჟებისა, დაბალსა და მაღალს სასწავლებლებში.—როგორ დაარსდა ქალთა და ვაჟთა საერთო სწავლა, მისი ისტორია და განვითარება.—რა აზრისანი იყვნენ ზოგიერთნი ქალების განათლების შესახებ.—ქალების გამარჯვება.—ქალები პროფესორებად და რექტორებად.

ამერიკელს ქალს ისეთი უპირატესობა და უფლება აქვს მინიჭებული, რის მსგავსსაც ვერსად ვერ ნახავთ. მისთვის ყველგან ვაკეა გზა, ყველგან შეუძლიან თავისი სწავლა და ცოდნა გამოიჩინოს და შესაფერი ადგილი და სამსახური იშოვნოს. ამერიკელი ქალი დიდს მონაწილეობას იღებს არამც თუ მარტო სახელსაქმო და საქარხნო მუშაობაში, არამედ დიდივე უნარი და ცოდნა გამოიჩინა ექიმობაში, ლიტერატურაში, მწერლობაში, პედაგოგიკაში, საეკკლესიო სამსახურში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებში, ვაჭრობა-ალებ-მიცემობაში და სხ. დღეს ამერიკაში მრავლად არიან ქალები ვექილებად, მკურნალებად, მასწავლებლებად, ქალაქის მოურავეებად და სხ. ასეთი დიდი მონაწილეობა ქალებისა ყოველ გვარ საქმეში იმ თვალ-საჩინო გარემოებით აიხსნება, რომ ყოველ ამისთვის საჭირო მომზადებას იძენენ სასწავლებლებში, რომელნიც ისეთივე ხელმისაწდომნი არიან მათთვის, როგორც ვაჟებისთვის.

ის ზღუდე, რომელიც აშორებს და ჰყოფს ჩვენში შრომას ქალსა და კაცს შორის, ამერიკაში სრულიად არ არსებობს: არსებობისათვის ბრძოლაში ორივ თანაბრად იბრძვიან, ქალები შველიან კაცებს, კაცები კიდევ ქალებს. აქ ქალებს ერთხელვე გადაწყვეტილი სამუშაო არა აქვთ მიჩენილი, რომლის გარდა სხვა ყველა სამარცხვინოდ ითვლება. ამგვარ კაცთა და ქალთა ყოველ მხრივ თანასწორობას, სასწავლებლებში ერთად სწავლებაც მოსდევს. როდესაც მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში ხალხში გაიღვიძა ქალთა განათლების სურვილმა, ამერიკელებმა ჩქარა მოუნახეს მალამო. იმათ შემეტებული ხარჯების მაგიერ კერძოთ ქალებისათვის სკოლების დასაარსებლად, ვაჟთა სასწავლებლები მხოლოდ გაადიდეს და ქალებსაც მათთან ერთად დაუწყეს სწავლება. მერე, რაკი ერთხელვე ნება დართეს ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებას და სასურველად წავიდა საქმე, ესევე სისტემა ნელ-ნელა შემოიღეს უმაღლეს სასწავლებლებშიც. ასე რომ ამ ჟამად ამერიკის 212 უმაღლეს სასწავლებელში მხოლოდ 37 კერძოდ ქალებისათვისაა დანიშნული და კაცებისათვის 14, დანარჩენში-კი ორთავე სქესისათვის ღიაა კარები. 5,563 სტუდენტ-ქალებში, რომელთაც 1895 დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები, 4,399-ს ვაჟებთან ერთად მიეღოთ სწავლა.

ქალ ვაჟთა ერთად სწავლებას უფრო ის გარემოება უწყობს ხელს, რომ უმაღლეს სწავლის გამავრცელებლად ამერიკაში გარდა უნივერსიტეტებისა მრავლად არსებობს ეგრედ წოდებული კოლეჯები, რომლებშიაც სპეციალურად სწავლობენ მხოლოდ ერთს რომელსამე საგანს. კოლეჯები მრავალნაირები არიან და დიდი სარგებლობაც მოაქვთ. რაც გინდა დიდი ნაკლულევანებაცა ჰქონდეს ასეთს სისტემას, უმთავრესი მისი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ყველასთვის მისაწდომსა ჰხდის უმაღლესს სწავლას, უახლოვებს მას ხალხს და მის მაგიერ, რომ ხალხი შორს დიდ ქალაქებში წავიდეს სწავლის საძებნელად, იგი მის კარის წინვე ფიანდაზად ეშლება. კოლეგიები თავისს საუცხოვოდ შედგენილის პროგრამმით, მრავალგვარის საგნებით და სწავლის კარგად წაყვანით სრულიად არ ჩამოუვარდებიან უნივერსიტეტებს. კოლეჯების რიცხვი ამ ჟამად 190-ს აღემატება.

უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა ასე სანაქებოდ კარგად მიდის ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების საქმე, მაგრამ ამ ფრიად საჭირო საქმეს ბევრი არა მოკეთეცა ჰყავდა. წინეთ ქალთა საწინაამდეგო ხმას ყურადღებას არავინ აქცევდა და კერძო ხასიათი ჰქონდა. შემდეგ-კი, როცა დ—მა კლარკმა მთელი თხზულება გამოსცა ამის შესახებ, ყველგან ლაპარაკი მორთეს გაზეთებსა და ჟურნალებში და ბოლოს საქმე იქამდის გამწვავდა, რომ ერთ შესანიშნავ კოლეჯის კარები სრულიად დაუკეტეს ქალებს.

აი რას ამბობდნენ საზოგადოდ მოწინაამდეგენი: 1) ქალები გონებით დაბლა სდგანან კაცებზედ, ამიტომ კოლეჯებში მათმა ყოფნამ უნდა შეასუსტოს და შეაფერხოს სწავლის საქმე; 2) ქალებს ფიზიკური განვითარება ნებას არ აძლევთ იმდენად ავარჯიშონ თავიანთი გონება; ერთად სწავლებას გარყვნილობა და უსიამოვნება მოჰყვება, რაც ცუდად იმოქმედებს მათს ხასიათსა და ზნე-ჩვეულებაზედაო; 4) ასეთს დაახლოვებას თან მოჰყვება ქალ-ვაჟთ უკან დევნა და ნაადრევი ქორწინება; 5) სტუდენტი-ვაჟები არ თანაუგრძნობენ ამ საქმეს; მათთვის სასურველი არ არის ქალთა კონკურენცია და სხვა და სხ.

თუ რამდენად მართალი იყო ასეთი მითქმა-მოთქმა, ამის შესამოწმებლად ერთის კოლეჯის პრეზიდენტმა კუტლერმა, სულით და გულით ამ საქმის თაყვანისმცემელმა თხოვნით მიჰმართა ყველა იმ კოლეჯების რექტორებს, რომლებშიაც ორთავ სქესებს ერთად სწავლება სწარმოებდა და შეეტყობინებინათ შედეგი ამ სისტემისა. ცოტა ხნის შემდეგ კუტლერმა მიიღო 200 წერილი, რომლებშიაც კორესპონდენტები ერთხმივ ლაპარაკობდნენ ამ სისტემის უპირატესობას და სარგებლობას. აი რას ამბობს სხვათა შორის მიჩიგანის უნივერსიტეტის რექტორი: „გარეშე ხალხმა და საზოგადოებამ იძულებულ გვყო მიგვეღო სასწავლებელში ქალებიც, მიუხედავად იმისა, რომ პრაფესორები წინააღმდეგნი იყვნენ ამისი; ეხლა-კი არც ერთი პროფესორი არ მოიპოვება, რომელიც ემდურებოდეს-კი არა, პირიქით არ უმადლიდეს ამ სისტემის შემოღებას. ქალებმა ისეთი ბეჯითობა და უნარი გამოიჩინეს, რომ ყველა ფაკულტე-

ხადს სოფლების საზოგადოებათა შორის და ჰკრებს საერობო საადგილმამულო გარდასახადს კერძო მემამულეთაგან.

*** 2 ივნისს ოდესსაში გარდაიცვალა ბათუმის ქალაქის საბჭოს ხმოსანი კასპიისა და შავის ზღვის ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის სამმართველოს წევრი ბ-ნი ს. ი. ზროდლოვსკი.

*** ამას წინად გაზეთებში ამბავი იყო დაბეჭდილი, რომ ბ-ნი ავქსენტი ცაგარელი ავადმყოფობსო და ქუთაისში იმყოფება ბ-ნ ს. თოფურიას სამკურნალოშიო. როგორც ეხლა შევიტყეთ, ბ-ნი ავქსენტი ცაგარელი ამ ჟამად უკეთ იმყოფება და სრული იმედია მისის ჩქარა განკურნებისაო.

*** წელს ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა დაამთავრა 35 მოსწავლემ, სახელდობრ: ნ. ანჯაფარიძემ, დ. ასათიანმა, ალ. ბიბილურმა, თ. ბურჯანაძემ, ი. ბერიძემ, არ. გორგაძემ, ს. გოგრიჭიანმა, ს. დევდარიანმა, თ. ენუქიძემ, ზ. ედილაშვილმა, ი. ზედგინიძემ, ბ. თოდუამ, ბ. თალაკვაძემ, ი. ივანოვმა, ვლ. იაბლონსკიმ, ი. კაციტაძემ, თ. კალანდარიშვილმა, ი. კახაიამ, ავ. კვიტაიშვილმა, მ. კვაჭაძემ, მ. კობერიძემ, ვ. ლიბაძემ, ალ. ლომიძემ, თ. ლაშკოვმა, ი. მეტრეველმა, ი. ნიკოლაშვილმა, მ. ნიკურაძემ, გ. პარკაძემ, ი. პერტაიამ, ი. პოლუმორდვინოვმა, ალ. ყოძაევმა, კ. ჩიხლაძემ, ი. ცინცაძემ, ტ. ჯაფარიძემ, ს. ტორბინაძემ. ამათგან ორი რუსია, ერთი აისორი, ერთი ოსი და დანარჩენი ქართველები.

*** კანდიდატებად ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზედ, რომლის არჩევანიც მოხდება 8 ივნისს, ასახელებენ: აწინდელს თავმჯდომარეს დ. ზ. ყორღანოვს, ლ. ფ. ტიგრანოვს (ქალაქის საკრედიტო საზოგადოების კასსირად ნამყოფს), თავ. ნ. ე. არღუთინსკის (სამოსამართლო პალატის მდივნად ნამყოფს) და ბაშვიჩეტის მომრიგებელ-სასამართლოს გამგე მ. ა. სულიევს.

*** როგორც ამიერ-კავკასიის რკინის გზის სტატისტიკურის ცნობებიდგანა სჩანს, ამ უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან თან და თან უფრო ნაკლები შემოაქვთ პური. 1893 წელს შემოუტანიათ, მაგალითად, 1,140,037 ფუთი, 1894 წ.—1,246,332 ფ., 1895 წ.—981,142 ფ., 1896 წ.—832,51 ფ. და 1897 წ.—657,114 ფ. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ თვით რუსეთში ამ ბოლოს დროს პური ნაკლები მოვიდა და იქაც არ ჰყოფნით. პურის ფასიც შესამჩნევად განსხვავდა. 1893 წელს პირველის ხარისხის პური ჰფასობდა ფუთი 1 მ. 17 კ., ხოლო დღეს ჰფასობს პირველი ხარისხისა—1 მან. 50 კაპ., მეორესი—1 მან. 40 კაპ. და მესამესი—1 მან. 20 კ. ამ რიგად წელს მესამე ხარისხის პური უფრო მეტად ღირს, გიდრე 1893 წელს ჰღირდა.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიაში 1898 წლის პირველი ივნისიდგან პირველ სექტემბრამდე საქმეების წარმოება ყოველ დღე დაიწყება დილის 8 საათზედ და დასრულდება ნაშუადღევის პირველ საათზედ და ამავე დროს მიღებულ იქმნება ყველა არზები და თხოვნანი.

*** ეკზამენები ტფილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სასწავლებელში დასრულდა 4 ივნისს. უკანასკნელ კლასში სულ 24 მოსწავლე იყო, მათ შორის სასწავლებლის მთავრობამ 15 მოსწავლე სცნო ღირსად სემინარიაში მიღებისა, 4 სწავლის დამთავრების მოწმობა მიიღო, ხოლო 5 ზოგიერთ საგანში ხელ-მეორედ დაენიშნა ეგზამენი. იმათ შორის, ვინც სემინარიაში მიღების ღირსად იქმნა ცნობილი, ქართველია ცხრა, სახელდობრ: ა. გოგნიაშვილი, ა. მჭედლიშვილი, ხ. ბალუაშვილი, დ. დავითაშვილი, მ. მარინაშვილი, ნ. ნაკაშიძე, ი. ძლიერაშვილი, ნ. ბარნაბიშვილი და ნ. ბედიაშვილი,

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა თავ. ა. ი. ბებუთოვმა წინადადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში სასაფლაოებზედ ხეების დარგვამოშენების შესახებ. ხეები უნდა დარგულ იქმნას ავლაბრის სასაფლაოზედ, არტილერისტთა ყაზარმის მახლობლად და სოლოლაკში—კათოლიკეთა სასაფლაოზედ. ხმოსანი სწერს, რომ წლითი-წლობით ჰაერს სინესტე აკლდება, რადგან ხეებსა სჩეხენ როგორც შიგ ქალაქში, ისე ქალაქის მახლობელ ადგილებში. ჰაერის სიმშრალე-კი ზაფხულობით დიდად ჰვნებს მცხოვრებელთაო.

*** გაზ. „რუს. ლ.“-ი სწერს, რომ კავკასიაში არსდება ახალი ბანკი, რომელსაც სახელად ეწოდება „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი“. ბანკმა უნდა აძლიოს სამელიორატიო და სხვა სესხი მხოლოდ კავკასიის მხრის სოფლის მეურნეთ. შუამდგომლობა ბანკის დაარსების შესახებ უკვე წარედგინა ფინანსთა სამინისტროსაო.

*** გაზ. „ჩერ. ვესტ.“ სწერს, რომ ყვირილის სამაზრო ხაზინაში, როგორც აღმოუჩენიათ, 71,286 მანეთი გაუფლანგიათო. ადგილობრივი ხაზინადარი ბ-ნი ჟ—ანი შაბათს, 30 მაისს, სადღაც წავიდა და დღესაც არ დაბრუნებულაო. სად არის ამ ჟამად ბ-ნი ჟ—ანი, არავინ უწყის თურმე. ფულის დაკარგვამ და ჟ—ანის გაქრობამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გამოძიებას უკვე შეუდგნენო.

*** იგივე გაზეთი შემდეგს იუწყება ციმბირიდგან გამოქცეულის ს. აბაშიძის შეპყრობის შესახებ: „ს. აბაშიძე კარგა ხანია რაც იმალება, რადგან მეგობართა და ნათესავთა წყალობით პოლიციამ იმის შეპყრობა ვერ მოახერხა. ბოქაულები ტატიშვილი და ჟღენტი თავიანთ საბოქაულოში უდარაჯებდნენ აბაშიძეს და ამასთან ყოველი ღონე იღონეს, რომ ეს ამბავი მცხოვრებლებს არ გაეგოთ. ბოლოს ჟღენტის შეატყობინეს, რომ აბაშიძე სოფელ ნანეიშვილისეულშიაო. მაშინ ჟღენტი პირდაპირ ამ სოფელში წავიდა და იქ იმ კაცის წყალობით, ვისთანაც აბაშიძე ღამეს ათევდა, დამ აშავე მძინარე შეიპყრო. აბაშიძემ რაკი დაინახა, რომ ხსნა აღარ იყო, პოლიციას არ შეებრძოლა და დამორჩილდა.

*** იგივე გაზეთი სწერს, რომ 2 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, გუდაუთში, გუდაუთის ნაწილის უფროსი პორუჩიკი ჩიქოვანი, როდესაც ეს უკანასკნელი გამგეობის სადგომში მუშაობდა, ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა რევოლვერით ფანჯრიდგან მხარში დასჭრაო. სიბნელის წყალობით, ბოროტ-განმზრახველი სადღაც შეუმჩნევლად მიიმალა. დაჭრილი სუხუმში გადაიყვანესო.

*** ქ. ქუთაისი. აგერ რამდენიმე თვეა, რაც ქუთაის-ხონის გზა-ტკეცილის ხიდი, რომელიც გუბის წყალზედ არის გადებული, დაინგრა და ამ გზით მოგზაურობა მეტად ძნელი გახდა. მართალია, ხიდის დანგრევის დღიდგანვე თავ. ნიჟარაძემ და ვ. წერეთელმა ბორანი გამართეს, მაგრამ, ჯერ ერთი, ბორანი ხიდის ოდნობას ვერა სწევს და მეორეც ისა, რომ ამ ბორნის გამგენი არავის ნებას არ აძლევენ ფონი მონახონ და იქ გავიდნენ წყალში. თუ ვინმე გაჰბედავს ხოლმე—კარგს დღეს არ აყენებენ. რასაკვირველია, ყველაზედ მეტი საწყალს ხალხსა ჰხვდება. ერთს დღეს რამდენსამე გლეხს იმის გამო, რომ ფონში გავიდნენ, კარგად სცემეს, წაართვეს ბორნით გასაყვანი ფასი და მიანებეს თავი („ახ. მიმ.“).

---

## წერილი ოზურგეთიდან

ქალაქის თვით-მმართველობა.—სასულიერო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთა შესახებ.—შემოქმედის მონასტრის შეკეთება.

მოგეხსენებათ, ეს ორი წელიწადია მას შემდეგ, რაც ოზურგეთ'ს მარტივი თვით-მართველობა მიენიჭა. მოურავად ოზურგეთის მოქალაქეთა მიერ მოწვეულ იქმნა ახალგაზდა იურისტი თ. ნ. თავდგირიძე. უნივერსიტეტიდგან ახლად გამოსულ, ცხოვრებაში ჯერ გამოუცდელ კაცის ამორჩევამ ზოგიერთ წრეში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, იძახდნენ, ვერ გაუძღვება ქალაქის საქმეებს, „ჩეიჭრებაო“!.. მართლაც-და ასე ნივთიერად დაქვეითებულ და უსახსრო ქალაქის გაძღოლისთვის დიდი უნარი და თავ-განწირულება იყო საჭირო. უიმედობა არ გამართლდა. ამ ორს წელიწადში ქალაქმა მოურავის თაოსნობით გაიმართა მშვენიერი წიგნ-საცავ-სამკითხველო, სამკურნალო, სადაც აქაური ექიმები მორიგეობით სინჯავენ ავადმყოფთ უსასყიდლოდ, თეატრის შენობის საძირკველი ამოყვანილია და თვით შენობა მომავალ ენკენისთვეს უკვე მზად იქმნება, ქუჩები ისე ხელოვნურად მოკირწლულია ქვა-კენჭით, რომ ერთი კვირაც გამუდმებით იწვიმ იავდროს, ტალახს ვერსად ვერა ჰნახავთ, ღამ-ღამობით დღესავით გაჩირაღდნებულია მთელი ქალაქი ფარნებით, ქალაქს აქვს შემნახველ-გამსესხებელი კასსა, რომლის საქმეც ჩინებულად მიდის. ბ-ნი თავდგირიძე ამას არ დასჯერდა და განიზრახა, ისეთის საქმეებით დაავგვირგვინოს თავისი მოურავობა, რომ ოზურგეთს დანარჩენი ქალაქები შურის თვალით უყურებდნენ! აგერ თვეზედ მეტია, რაც რუსეთის სატახტო ქალაქებშია გამგზავრებუ-

---

ტეტზედ სანაქებოდ დაამთავრეს კურსი. უმრავლესნი მათგანნი მასწავლებლებად არიან საშუალო სასწავლებლებში; შვიდი მათგანი პროფესსორია და ლექციებს ჰკითხულობენ ველესლეის კოლეჯში; ერთი-კი რექტორად იყო და ეხლა შტატ მასაჩუსეტში წევრია სამოსწავლო კომიტეტებისა“.

პროფესორი კორნელის უნივერსიტეტისა ტაილორი სწერდა: „აგერ ცამეტი წელიწადია პროფესორად ვარ ამ უნივერსიტეტში და დაბეჯითებით შემიძლია ვსთქვა, რომ ამ სისტემას სიკეთის მეტი არაფერი მოჰყოლია, მის გავლენით სწავლის საქმეც უკეთ მიდის და ყ ოფა-ქცევითაც კარგად იქცევიან სტუდენტები. ქალები საუკეთესო სტუდენტებად ითვლებიან და არამც თუ არა რჩებიან სწავლაში დანარჩენთ, პირიქით ყოველთვის წინ უსწრობენ. მრავალ საუკეთესო სტუდენტ ქალთა შორის ერთმა სანაქებოდ დაამთავრა მათემატიკის ფაკულტეტი და მეორემ ფილოსოფიისა“.

ჩვენ კიდევ მრავალ სხვა წერილებსაც მოვიყვანდით, მაგრამ ესენიც თვალ ნათლად გვიხატავენ ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების სარგებლობას. მარტო ამითი არა თავდება სარგებლობა ამ სისტემისა. მთელი ოთხის წლის განმავლობაში ვაჟებს საშუალება ეძლევათ დარწმუნდნენ, რომ ქალებიც ჭკუა-გონებით არ ჩამოურჩებიან კაცებს და მათთან ერთად თავისუფლად შეუძლიანთ განვითარებასა და განათლებას მიეცნენ. ასეთი ახალგაზდანი, რასაკვირველია, ცხოვრებაში არ იქნებიან იმ ცრუ შეხედულობისა, ვითომც ქალი გონებით კაცზედ ქვეით იდგეს. ამასთანავე ქალები იპოვებენ ნდობას და პატივისცემას კაცთა შორის. კოლეჯში დაწყობილს ერთობას მერე ცხოვრებაშიც აღარა სწყვეტენ და ისეთ სასიკეთო დაწესებულებებში, როგორიც ფილანტროპთა საზოგადოებაა, სალიტერატურო კლუბების დაარსებაა და სხვა მრავალნი, ქალებიც კაცებთან ხელი-ხელს ჩაკიდებულნი მოქმედებენ. ამას გარდა ქალებთან ერთად ნასწავლნი ვაჟები ყოველთვის სცდილობენ გააფართოვონ ქალების უფლებანი და ყველგან გზა გაუკვლიონ.

გარდა უნივერსიტეტებისა და კოლეჯებისა, რომელთ კარი ორთავ სქესისათვის ღიაა, არსებობენ კიდევ კერძოთ ქალთათვის დაარსებული კოლეჯები. ასეთია ვასარის კოლეჯი, 1865 წელს დაარსებული, რომელშიაც გახსნისათანავე 540 ქალი შევიდა და რომელიც ამ ჟამად უდიდეს კოლეჯათ ითვლება. ამ კოლეჯის პროფესორებად უმთავრესად ქალები არიან, რომელთ შორისაც შესანიშნავია ქ-ნი ბროისლინი, როგორც მათემატიკოსი და მარიამ მიტჩელი, როგორც გამოჩენილი ვარსკვლავთ-მრიცხველი. მეორე ამგვარივე კოლეჯი დააარსა ნორტგამტონში სოფიო სმიტმა. 1884 წელს 650 სტუდენტი ქალი სწავლობდა ამ კოლეჯში და მას შემდეგ კიდევ თანდათან მატულობს და ივსება. აქ კი თითქმის პროფესორებად მარტო ქალები არიან. ასეთივე ორი კოლეჯია გამართული ფილადელფიის ახლოს, რომლებშიაც პროფესორებად და რექტორებად ქალებია. ყველა ეს კოლეჯები დიდს ყურადღებას აქცევენ ქალების ჯანსაღობას, რისთვისაც არსებობენ მრავალი გასართობები, გიმნასტიკური სავარჯიშონი, საცეკვაო და სათამაშო მოედნები, საცურაო წყლები და სხ. ყველაზედ საუკეთესოდ ამ მხრივ მოწყობილია ველესლეის კოლეჯი. კოლეჯი საუცხოვო ადგილას არის მოთავსებული, ირგვლივ დაბურული ტყე აქვს შემორტყმული მუხისა და ალვის ხით მოჩედილი და წინ კიდევ გადაჭიმული ტბა ერთი ორად უფრო მიმზიდველადა ჰხდის იქაურობას. ამ მომხიბლავ და გრძობათა ამშლელს საუცხოვო წალკოტს შორის ამართულან შენობები, რომლებშიაც მოქცეულია და შეყრილი ყოველგვარი ჭკუა-გონების სალარო. რა გინდათ, რომ აქ არ იყვეს: უდიდესი ბიბლიოთეკა, სამკითხველო, ლაბორატორია, მუსიკა და სხ. არამც თუ მარტო პროფესორები, რექტორებიც-კი დაარსებიდგან ქალები იყვნენ და არიან ამ სანაქებო კოლეჯში.

აი ასე გაიმარჯვეს უმაღლეს სასწავლებელში ამერიკელმა ქალებმა და დღეს იმათაც კაცებთან ერთად თითქმის სრული უფლებანი აქვთ მინიჭებული. ევროპაში და რუსეთში კი ჯერ კიდევ კითხვას შეადგენს ქალების უმაღლეს სასწავლებელში შესვლა და თუმცა საფრანგეთმა ეს გაჭირვება დასძლია და ნება დართო ქალებს, მაგრამ იქაც ჯეროვნად ჯერ კიდევ ვერ უსარგებლნიათ ამ ნებართვით. ამერიკაში-კი დიდი ხანია ბოლო მოუღო ამ გვარ ცრუ შეხედულობას და ქალისთვის ისეთივე საჭიროდ ითვლება უმაღლესი სწავლა, როგორც კაცებისათვის. ასე კარგად საქმის წაყვანას ხელს უწყობდნენ როგორც თვით მთავრობა, აგრეთვე კერძო პირები და უმთავრესად სხვა-და-სხვა მიმართულების სექტანტები (სარწმუნოების მწვალებლები, რომელთ უმთავრესს მიმართულობას ძმობა, ერთობა და სიყვარული შეადგენს). თავდაპირველადვე ორთავე სქესისათვის სასწავლებლებს ერთად აარსებდნენ და ორთავესთვის მისაწდომს ჰხდიდნენ სწავლას. მათის მეცადინეობით მრავალი ამ გვარი თვალსაჩინო სასწავლებელი დაარსდა ამერიკაში, რომელთაც დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვთ. ესევე უნდა ითქვას კერძო პირებზედაც, რომელნიც დიდათ თანაუგრძნობდნენ რა ქალების უმაღლესს სასწავლებელში შესვლას, თვითვე აარსებდნენ მათთვის სასწავლებლებსა, რის გამოც დღესაც მრავალ უმაღლესს სასწავლებელს მათ დამაარსებლის სახელი ჰქვიან. მთავრობამ ხომ თავდაპირველადვე დიდი დახმარება გაუწია და ყოველსავე შტატში $1/_{20}$ ნაწილი მიწებისა სკოლების სასარგებლოდ გადასდო. ასეთმა ყოველ მხრივ თანაგრძნობამ შეჰქმნა ის ურიცხვი უმაღლესი სასწავლებლები, რომლითაც დღეს სამართლიანად თავი მოაქვს ამერიკას. როგორც ზევით დავინახეთ, თუმცა ეს სასწავლებლები მარტო ვაჟთათვის იყო დანიშნული, მაგრამ დღეს მათი კარი ყველასთვის ღიაა და როგორც კაცს, ისე ქალს თავისუფლად შეუძლიან მიიღოს იქ განათლება.

ზ. კავკაველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ოზურგეთის სხვა-და სხვა საქმისა დ საჭიროების გამო საშუამდგომლოდ უმაღლესის მთავრობის წინაშე. სხვათა შორის უნდა იშუამდგომლოს ნატანებიდგან ოზურგეთამდე ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გაყვანა, სავაჟო პროგიმნაზიის დაარსება ოზურგეთში სამოქალაქო სასწავლებლის ნაცვლად და სხვანი. იმედიც გვაქვს, რომ იმის შუამდგომლობას მთავრობა შეიწყნარებს.

რაც ხელ-ახლად მიაღები ეგზამენები შემოიღეს სასულიერო სემენარიებში, მას შემდეგ მიღებულ მოსწავლეთა რიცხვმა შესამჩნევად იკლო ხსენებულ სასწავლებლებში. ყოველ წლივ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში 20—25 მოსწავლე ათავებს სწავლას. ამათში სასწავლებლის მთავრობა სემინარიაში გაგზავნის ღირსად სცნობს ხოლმე 8—9 კაცს, დანარჩენნი სწავლა-დამთავრებულნი-კი მეტად ცუდს მდგომარეობაში სცვივიან. ბევრს მათგანს დიდი სურვილი აქვს სწავლის განგრძობისა, მაგრამ ან ნივთიერი შეუძლებლობა უშლის ხელს, რადგანაც აქ უფროს ერთი ღარიბის დედ-მამის შვილები სწავლობენ, ან კიდევ წლოვანება. ეს უმრავლესობა მედავითნეებად რჩება სოფლებში. ხოლო მედავითნობა იმისთვის არის გამოსადეგი, ვინც ოდესმე მაინც მღვდლობას ეღირსება, თორემ თავისს დღეში, სიკვდილამდე მედავითნედ ყოფნა შეუძლებელია. ეხლა-კი, რაც უწმიდესის სინოდისაგან გამოქვეყნებულ იქმნა პროგრამა მღვდლობის მიღებისათვის, რაღა თქმა უნდა, რომ იშვიათი მედავითნე ეღირსება მღვდლობის ხარისხის მიღებას, ვინაიდგან ეს პროგრამა სემინარიის შემოკლებულ კურსს შეიცავს. დღემდის ზოგნი მათგანი სოფლის მასწავლებლებადაც იყვნენ სამრევლო სკოლებში, დღეს-კი სოფლის მასწავლებლობის მსურველნი თვით სემინარიელნი ისე გამრავლდნენ, რომ ზოგჯერ ესენიც-კი ვერა ჰშოულობენ ადგილს და უპირატესობაც, რასაკვირველია, ამათ ეძლევათ, ვიდრე ოთხ კლას გათავებულთ. მეტი ღონე აღარ არის, სოფლად უნდა დარჩნენ მიწის მუშებად. საქმე კიდევ ის არის, რომ მიწის მუშებადაც აღარ ვარგანან, რადგანაც პატარაობიდგანვე არ შესჩვევიან მუშაობას. ეს კიდევ არაფერი. იმ 8—9 სწავლა დამთავრებულთ შორის, რომლებსაც სასწავლებლის მთავრობა სემინარიაში შესვლის ღირსადა სთვლის, სამი თუ ოთხი ძლივს იჭერს ეგზამენს, დანარჩენნი ბრუნდებიან სახლში და უერთდებიან გზა მოწყვეტილ უმრავლესობას. ნუ თუ მთელი გურიის სამღვდელოება იმიტომ ჰხარჯავს ამოდენა ფულს სასწავლებლის შესანახად, რომ წელიწადში ორი და სამის მოსწავლის მეტი ვერ ეღირსოს სემინარიაში შესვლას და იქ სწავლის დამთავრებას! სასულიერო სასწავლებელში იმ იმედით შეჰყავთ შვილი, რომ უთუოდ სემენარიაში უნდა გადავიდეს და, თუ დედ-მამა დარწმუნდა, რომ იმათი შვილი სემინარიაში ვერ მოხვდება, მაშინ არავინ არ შეიყვანს ამ სასწავლებელში ბავშვს სასწავლებლად. უკვე ყველამ კარგად შეიგნო, რომ სასულიერო სასწავლებელი უსემინარიოდ, მეტადრე ამ ბოლოს დროს, ყოველს მნიშვნელობას მოკლებულია. იმედია, გურიის სამღვდელოება ამ თავისს დღიურ ვარამს რაიმე წამალს გამოუძებნის...

ვის არ გაუგონია, თუ არ უნახავს, შემოქმედის მონასტერი, ეს ერთი ძველ ისტორიულ ნაშთთაგანი, რომელიც ოთხის თუ ხუთის ვერსის მანძილზედ არის ოზურგეთიდგან. აი, ეს ძველი ისტორიული ნაშთი დღეს ხნოვანებისა გამო ლამის არის შემუსვრილ იქმნას, თუ დროზედ არ მიეშველნენ, ვისიც ჯერ არს. ჩვენ გავიგეთ, რომ ამ მონასტრის წინამძღვარს არხიმანდრიტს მ. იონას საეპარქიო უფროსის ნება-რთვით კომიტეტი შეუდგენია, რომელმაც უნდა იზრუნოს მონასტრის შეკეთებისათვის. ამასთან, რადგანაც ხსენებული მონასტერი ძალიან ღარიბია, მ. იონა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ რამდენიმე ქცევა სახაზინო მამულებისა გურიაში ხაზინამ მონასტერს დაუთმოს საკუთრებად.

მახვილი

# დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. შემოქმედი,** (გურია). 24 მაისს შემოქმედის მონასტრის გალავანში აუარებელი ხალხი დაესწრო. ყველას სახეზედ სიამოვნების ღიმილი უკრთოდა. ეტყობოდა, ყველა რაღაცის მოლოდინს გაეტაცნა, რომელიც ძვირფასს განძად უნდა ჩაითვლილიყო მათს ცხოვრებაში. ეს იყო დროშა, რომელიც დაუმსახურებიათ მკვირცხლს გურულებს თავისის მამაცობითა და ერთგულებით ოსმალებთან ომის დროს 1828—1829 წლებში რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ისაგან. დროშა 1870 წლამდის ინახებოდა შემოქმედის მონასტერში, რადგან შემოქმედი უპირველესი ადგილია მთელის გურიის სოფლებისა. 1870 წელს რაღაც საჭიროებისთვის წაღებულ იქმნა ეს ძვირფასი ნივთი და მას შემდეგ არ იცოდნენ, თუ სად ინახებოდა. ერი მთელის გურიისა დიდს ფიქრში იყო, რადგან არ იცოდა სად, ან რა საჭიროებისთვის იყო წაღებული. როდესაც გაიგო ეს გარემოება გურიის თავად-აზნაურობისწინამძღოლმა თავ. სიმონ გუგუნავამ, აღძრა სჩივარი. თხოვნა განმეორებულ იქმნა თ. გუგუნავას მოადგილეს თ. კონსტანტინე ერისთავისაგან და დროშაც დაუბრუნდა გურულებს თავისის სიგელითურთ. ხალხი მთელის გურიისა დიდს აღტაცებაში იყო, რადგან მოელოდნენ დანახვას თვის მამა-პაპათ დამსახურებულ დროშისას.

დროშა ამოსვენებულ იქმნა ქ. ოზურგეთიდგან დრუჟინის უფროსის პოლკოვნიკის მიერ, 11 აფიცრებით, ასი ჯარის-კაცით და სამხედრო მუსიკით, რომელთაც წინ მოუძღოდა თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. გ. ერისთავი და ბ-ნი მაზრის უფროსი ლაზარენკო თავისის მოხელეებით. გურიის თავად-აზნაურობა და მრავალი ერი შეეგებნენ ს. შემოქმედიდგან შუა გზაზედ. სამხედრო ჯარის მიერ დროშა იქმნა ასვენებული შემოქმედის მონასტრის გალავანში, იქ მიეგებნენ მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი მ. იონა თავის კრებულით და მღვდელნი მ. ანტონ და სერგეი გალობრიანი შემოსილნი. პოლკოვნიკმა ჩვალინსკიმ გარდასცა თავისის ხელით დროშა გურიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს თ. გ. ერისთავს და წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა გურულების სიმამაცე და დასძინა, რომ გურიას თავისის ერთგულებით და სიმამაცით დაუმსახურებია ისეთი ჯილდო, როგორიც სხვა კუთხეს რუსეთის იმპერიისას არ ჰღირსებია. შემდეგ ერისთავმა გადასცა დროშა გურიის თავად-აზნაურთ და თან წარმოსთქვა მოკლე სიტყვა. იმისავე შესახებ წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა უმაწვილმა-კაცმა ივანე მაქსიმეს მე ჩხატარაიშვილმა.

დასასრულ, მონასტრის დაბლა, ბუჟუჩის წყლის-პირას იქმნა გამართული სადილი გურიის თავად-აზნაურთა ხარჯით. სადილს დაესწრნენ ყველა იქ მყოფნი: თ. გ. ერისთავი, ბ-ნი მაზრის უფროსი მოხელეებით, პოლკოვნიკი ჩვალინსკი თავისის აფიცრებით და ასის ჯარის-კაცით და სხვანი მრავალნი. სადილის დროს უკრავდა სამხედრო მუსიკა. სადილზედ წარმოითქვა რამდენიმე გრძნობით სავსე სიტყვა ქართულსა და რუსულს ენაზე.

ანტონ სიხარულიძე

—

**სოფ. ალი,** (გორის მაზრა). არა მგონია იყოს სადმე ისეთი შეწუხებული ხალხი, როგორც დღეს ალელები არიან უსარჩოობისა გამო. იმისთანა დღე თქვენს მტერს დაადგეს, როგორიც ადგიათ ალელებს. ნამდვილი შიმშილობაა ჩამოვარდნილი ჩვენს სოფელში. სოფელი ალი შესდგება ორასის კომლის მცხოვრებლისაგან, ამ ორასს კომლში სულ არ მოიპოვება ხუთი კომლი ისეთი, რომ თავისი სამყოფი სარჩო ჰქონდეს და გაბედვით სჭამდეს პურს. სწორედ ცოდვის ლუკმა ტრიალებს ჩვენს სოფელში შიმშილობისა გამო და აღარ იციან თუ რა ჰქნან საწყლებმა, რა ღონე იხმარონ, რომ შიმშილისაგან სიკვდილს ცოცხალი გადაარჩინონ. რაც შეუძლიანთ მუშაობენ, ასწორებენ დღესა და ღამეს, წელებზედ ფეხს იდგმენ, მაგრამ ჭირნახულის სიძვირისა გამო, კუჭს მაინც ვერ იძღობენ, ან როგორ გაიძღობენ, როდესაც ჩანახი სიმინდი ათი შაური და პური—14 შაური (ჩვენებური ჩანახი ოცდა ოთხი გირვანქაა) და, რომ ერთი ჩანახი საიდოს, უნდა დღე-ნახევარს და ორ დღესაც ოფლის ღვრით იმუშაოს და ის ალებულიც მის წვრილ ჯალაბს მთელ დღეს მლივს მლიობით უნდა ეყოს. კიდევ კარგი, თუ თავის სამუშაოს ჩამორჩა, სხვას ქირით მოეხმარა და საიდო რამე, მაგრამ ალელები, მარტო მარტოხელობისაგამო, ამასაც მოკლებულნი არიან. ამის გამო მეტს გაჭირვებაში არიან ჩაცვივნულნი. შეჭყურებენ საცოდავად თავიანთ პატარა ნათესობას და მოუთმენლად მოელიან იმ დროს, რომ ყანებში სამუშაოდ შევიდნენ. გაზეთიდგან ალელებმა გაიგეს თავადის ამილახვრის დიდი სიკეთე, რომ თავის მემამულეთა და მათ მახლობელ სოფლების გაჭირვებულთათვის დაურიგებია ხუთი ათასი ფუთი ფქვილი უსარგებლოდ, ამის გაგებამ ალელები ერთის მხრივ დიდს სიხარულს მისცა, რომ გლეხთაც ჰყოლიათ გულ-შემატკივარიო, მეორეს მხრივ-კი ძალიან შეშურდათ სხვისთვის ამისთანა მოწყალეგაცი და ოხვრით წარმოსთქვეს: „რა იყო, შე დალოცვილო ღმერთო, რომ თავ. ამილახვრისთანა ჩვენთვისაც მოგენიჭებინა და ეს დასაღუპი ჩვენებური ჩარჩ-პოლოსები კი სხვისთვისო!.. რამდენს კიდევ ბევრს სხვა გულ საკლავ სიტყვებს ამბობდნენ, მაგრამ ვინ იყო იმათი მშველელი...

მართალია, ჭირნახულის ნაკლებულობა სხვა დროსაც ბევრჯელ ყოფილა, მაგრამ ასეთი ძვირი საშოვარი, როგორც წელს არის, არა ყოფილა; მთელი სოფელი რომ შემოიარო და წამლად მოითხოვო, ერთ მუჭაზედ დაურას ვერც პურს იშოვნით და ვერც სიმინდს. მერე უფრო საცოდავები იმათი არიან საწყალი გლეხები, რომ ამისთანა დროს სხვა გარდასახადიც ერთმევათ: სახელმწიფო ფული, მამასახლისის ფული, მწერლისა, ჩაფრისა, გზირისა, სადარაჯოსი და ზედ ჩარჩების რაინდობაც ემატებათ!.. ერთის სიტყვით, იმათს გაჭირვებას ვერავინ მოსთქვამს! ამ სოფელში არის მაღაზია პურისა, სადაც მუდამ კალოობაზედ გლეხებისაგან იკრიბება ოთხასი ფუთი პური, მაგრამ სხვაგან რომ მანეთი იყოს ფუთი ხორბალი, აქაურს პურს ათშაურად აძლევენ ხოლმე ვიღაც ჩარჩებს. ნუ თუ კარგს არ იქმენ, რომ ასე იაფად პურის დაღუპვას, ის ჭირნახული სოფელში გასცენ გლეხებზედ კანონიერი სარგებლით? ვინ მოსთვლის, რამდენაირი სარგებლობა ჩვენებურს გლეხს ექმნება მიშინ, მაგრამ ვინ შეიწუხებს თავს?!.

მედავითნე სერგო

# რუსეთი

—

კიევის პოლიტეხნიკუმში ლექციების კითხვა დაიწყება 1 სექტებრიდგან. პირველ კურსის სამეხანიკო განყოფილებაში მიიღებენ 100 კაცს, საქიმიოში—60, საინჟენეროში—90 და სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაში—80. რაკი ინსტიტუტში შესვლის სურვილს ბევრნი განაცხადებენ და თავისუფალი ადგილი-კი ცოტაა, ამიტომ დანიშნულ იქმნება სამეტოქეო ეგზამენი. ეგზამენის გარდუხდელად მიიღებენ მხოლოდ უმაღლესს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ და იმათ, რომელთაც ფიზიკო-მატემატიკის ფაკულტეტის ნახევარ კურსის ეგზამენი მაინც ექმნებათ გარდახდილი. თავისუფალ მსმენელებად არავინ იქმნება მიღებული.

— საერო განათლების სამინისტრომ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა და გეგმა ტომსკში დასაარსებელ სატეხნოლოგიო ინსტიტუტისა.

— 29 მაისს დაასრულეს სახელმწიფო ეგზამენის გარდახდა იურიდიულ ფაკულტეტზედ სწავლა-დამთავრებულთ. ეგზამენი გარდაიხადა 425 კაცმა და შესაფერი მოწმობა-კი 293 კაცმა მიიღო. 93 კაცმა პირველის ხარისხისა და დანარჩენთ მეორე ხარისხის მოწმობანი.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს დიდი ყურადღება მიაქციოს რუსეთის იმ სამკურნალო წყლებს, რომელნიც უყურადღებოდ არიან მიტოვებულნი. ამგვარი ადგილები ცოტა არ არის მთლად რუსეთის იმპერიაში და ამიტომ სამინისტროს აზრადა აქვს გამოიკვლიოს ეს ადგილები და, რომლებიც დიდად სასარგებლონი აღმოჩნდებიან, თვითვე განაგოს.

— განზრახვა აქვთ რამდენიმე უმაღლესი სატეხნიკო სასწავლებელი დააარსონ ამ ახლო მომავალში.

# უცხოეთი

—

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** როგორც გაზეთები იუწყებიან, იმ დროს, რა დროსაც სამპსონის ესკადრა თავისის ყუმბარებით სანტ-იაგოს ნავთ-სადგურის სიმაგრეებს მიწასთანასწორებდა, ამერიკის რამდენსამე გემს ნავთ-სადგურის გარეთ ესპანიის ერთი სამხედრო ხომალდი, სახელად „Terror“-ი, ჩაუგდიათ ხელთ და სრულიად გაუნადგურებიათ. ეს ამბავი წარსულს ორშაბათს, შუაღამისას მომხდარა. ხომალდი „Terror“-ი ზღვაში ყოფილა და შუაღამისას ნავთ-სადგურში ესპანიის ესკადრასთან შესვლა დაუპირებია. „Terror“-ის საქმე პირველად კარგად მიდიოდა თურმე. ბნელის ღამის წყალობით ხომალდს შეუმჩნევლად გაუვლია კარგა მანძილი და ნავთ-სადგურის შესავალს მიახლოვებულა კიდეც. მაგრამ ამ დროს ღრუბლები გაფანტულა და მთვარეს არე-მარე გაუნათნია, ამერიკელებს დაუნახავთ ხომალდი და ხუთი სამხედრო გემი დაუდევნებიათ. „Terror“-ი ნავთ-სადგურისაკენ აღარ წასულა და იქვე მახლობლად სანაპირო კლდეების ჩრდილს აჰფარებია, რის გამო ამერიკელებს ბევრი უძებნიათ, მაგრამ ვერ უპოვნიათ. ბოლოს არე-მარე ელექტრონის სხივებით გაუნათებიათ, ნაპირთან მიმალული გემი დაუნახავთ და ერთის ზარბაზნიდგან გასროლილი ყუმბარებით ბოლო მოუღიათ იმისთვის. ყუმბარა გემს შუა ადგილას მოჰხვედრია და მაშინვე ჩაუძირავს. „Terror“-ზედ 60 ზღვაოსანი ყოფილა, მაგრამ მათ კვალს ვერ მიაგნეს თურმე. არ იციან ეს 60 კაცი გადარჩენილა და ნავების შემწეობით ნაპირზედ გადასულა თუ გემთან ერთად ისინიც დაღუპულან.

— თუმცა დეპეშებს არავითარი ამბავი არ მოუტანიათ, მაგრამ, როგორც ეხლა იუწყებიან, მანილას მახლობლად ესპანიის ჯარსა და მეამბოხეთა შორის დიდი ბრძოლა მომხდარა. მეამბოხეთა წინამძღოლობდა აგვინალდო, რომელმაც მთელი კუნძული ფეხზედ დააყენა თურმე. აგვინალდო თავის ჯარით პირდაპირ მანილისაკენ წასულა. პირველი შეტაკება მომხდარა იმ ადგილას, სადაც ესპანიის დარაჯები მდგარან. ბრძოლა მეტად ცხარე ყოფილა. დასასრულ დიდად დაზარალებული ესპანელები ველარ გაჰმაგრებიან მეამბოხეთა ჯარს და უკან დაუხევიათ. მეორე ბრძოლა მანილის მახლობლად მომხდარა; იგი გაცილებით უფრო ცხარე ყოფილა ვიდრე პირველი. საკმარისია მოვიხსენიოთ, რომ ბრძოლამ განუწყვეტლივ სამ დღესა და ღამეს გასტანა. პირველ ხანს ომი ქალაქს გარედ ყოფილა, შემდეგ-კი თვით ქალაქის გორებზედ. დაწვრილებით ამბავი ამ ბრძოლის შესახებ არ მოსულა. სათუოდ ამბობენ მხოლოდ, რომ მეამბოხეთ ესპანიის ჯარი სრულიად ამოსწყვიტესო.

— გაზ. „Times“-ის ნიუ-იორკელი კორესპონდენტი სწერს: „აქ ხმა გავრცელდა, რომ ესპანიამ სთხოვა ევროპის სახელმწიფოთ შუამდგომლობა გაგვიწიეთ და შეერთებულ შტატებთან შეგვარიგეთო. შემდეგ

ამბობენ კიდევ, რომ ევროპის სახელმწიფოთ უარი გამოუცხადეს ესპანიას და შეუთვალეს, რომ შეერთებული შტატები ჩვენს შუამდგომლობას არ მიიღებსო. ამ ხმების შესახებ გაზეთი „Tribune“ სწერს: ევროპის სახელმწიფოთ ჯერ ისევ ომის დაწყებამდე მოიწადინეს შუამდგომლობის გაწევა და ესპანიისა და შეერთებულის შტატების შერიგება, მაგრამ ამერიკამ მათი წინადადება უარჰყო. ესპანია მუდამ მზათ არის მიიღოს შუამავლობა რომელიმე სახელმწიფოსი ზავის ჩამოგდების შესახებ და იმასთან მოლაპარაკება დაიწყოს; მაგრამ იგი დიდი წინააღმდეგია ლაგებისა და ესრედ წოდებულ კონცერტებისა. იმას არა სწამს ევროპის სახელმწიფოთა კონცერტის ერთობა, არა სჯერა, რომ ამ კონცერტმა ესპანიის სასარგებლოდ რამე გააკეთოს. უმჯობესია ამიტომ, რომ მოლაპარაკება ერთმა რომელმამე სახელმწიფომ დაიწყოს. მაგრამ როგორც ეტყობა, ესპანიას თავმოყვარეობა ნებას არ აძლევს ერთს რომელიმე სახელმწიფოს მიჰმართოს და შუამდგომლობა სთხოვოსო“.

—

**ავსტრია.** გაზეთების სიტყვით, ავსტრიის პარლამენტში, რომელმაც შარშან თავი ისახელა უწესოებით, ხელ-ახლა დაიწყო არეულობა. გაზ. „Berliner Tageblatt“-ის კორესპონდენტი სწერს, მაგალითად; „პარლამენტის ერთს უკანასკნელს კრებაზედ ხელ-ახლა მოხდა არეულობა, რომელმაც დამსწრეთ ბადენის დრო მოაგონათ. დეპუტატმა შენერერმა მოიწადინა 2,183 კაცის მიერ ხელმოწერილის პეტიციის წაკითხვა. პრეზიდენტმა ნება არ მისცა და მაშინვე ალიაქოთი, აურ-ზაური და ბრახა-ბრუხი ასტყდა. ბოლოს შენერერმა თავისი გაიტანა და პეტიცია მაინც წაიკითხაო“.

## ნაკვესი

—

— რასა ჰზრძანებთ, ქალო, თქვენც სწორედ ისეთივე სენი გჭირთ, რაც მე, და სჭამთ და სვამთ-კი უკეთესვე იმას, რას ჭამა-სმაც მე დამიშალეთ!..

— ჩვენ შორის დიდი განსხვავებაა.

— რა განსხვავება?

— ისა, რომ თქვენ თქვენის თავის განკურნება გინდათ და მე-კი ეგ ფიქრადაც არ მომსვლია.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საზოგადოდ, მკურნალების აზრით, წითელი ღვინო უფრო უკეთესია, ვიდრე თეთრი და ავადმყოფებსაც წითელის ღვინის სმას ურჩევენ. თეთრს ღვინოსაო, ამბობენ, ის სვკეთე აქვსო, რომ იმისი შეღებვა და სხვა-და-სხვა წამლებით შეზავება უფრო ძნელია, ვიდრე წითელისა. მაგრამ, რა-კი თეთრს ღვინოს უფრო ეტანებიან, ამიტომ ისეთი წამალიც აღმოაჩინეს, რომლის შემწეობითაც შეიძლება წითელის ღვინის თეთრად გადაქცევა. წითელ ღვინოს აზავებენ ერთგვარ მარგანეცით, რომელიც მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის; ამ გვარად, ჯერ ერთი რომ თეთრის ღვინის შეზავებაც შეიძლება სხვა-და-სხვა წამლებით და ასეთი ღვინო უფრო მავნებელი იქმნება ადამიანის ჯანმრთელობისათვის; გარდა ამისა თეთრ ღვინოში არ არის არც ტანინი და არც რკინა. მართალია ზოგიერთ შემთხვევაში ტანინი და რკინა მავნებელიც არის, მაგრამ ბევრჯერ ტანინი და რკინა სასარგებლოა ღვინის მსმელისათვის. ძველს ღვინოში ყოველთვის ბევრია ტანინი და რკინა და სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ასეთი ღვინო სასარგებლოა განსაკუთრებით სისხლ-ნაკლებ ავადმყოფთათვის. ერთის სიტყვით, როგორც გამოკვლევა ამტკიცებს, ყოველგვარი უპირატესობა უნდა მიეცეს წითელს ღვინოს და ეჭვი არ არის, რომ საზოგადოებაც მალე დარწმუნდება ამაში. ერთს გაზეთში შემდეგი საყურადღებო ცნობა ამოვიკითხეთ. საფრანგეთის დეპარტამენტის ჟირონდას ღვინის მწარმოებელმა შეჰკრიფა სასტატისტიკო ცნობები იმ დეპარტამენტების მცხოვრებთა შესახებ, სადაც თეთრს ღვინოს აკეთებენ და ხმარობენ და იმ დეპარტამენტთა შესახებაც, სადაც აკეთებენ წითელს ღვინოს. ამისათვის ამ მწარმოებელს აუღია კანდიდატთა საარჩევნო სიები, ამოუწერია ცალკე ის ადგილები, სადაც წითელს ღვინოს ახმარობენ და ის ადგილებიც, სადაც თეთრს ღვინოსა ხმარობენ და აი რა აღმოჩნდა. 17 ოლქში, სადაც წითელს ღვინოსა ხმარობენ, 7.738 ამომრჩეველთა შორის 380 კაცი 75 წლისაზე უფროსი ყოფილა ე, ი. თითქმის 5%. ხოლო 7 ოლქში, სადაცა ხმარობენ თეთრს ღვინოს, 3,029 ამომრჩეველთა შორის სულ 88 კაცი ყოფილა 75 წლისაზე უფროსი, ანუ 8% ნაკლები, ეჭვი არ არის, დასძენს ამ საყურადღებო ცნობას გაზეთი, რომ წითელი ღვინო უფრო სასარგებლო ყოფილა ადამიანისთვის.

* * *

გაზეთი „ჩერნ. ვესტნიკი“ სწერს: გუშინ (4 ივნისს) ბათუმში მოვიდა ერთი ახირებული მოგზაური იასე ბრანდინი. ამ რვა წლის წინად პარიჟში ბრანდინი დაენაძლია ერთს სასტუმროში მეგობრებს იმაზე, რომ ათის წლის განმავლობაში მთელს დედამიწის ზურგს ისე მოვივლი, რომ თან არც ერთს გროშს არ წავიღებ, არც არავისა ვსთხოვ ფული გამომიგზავნოს და გზაში იმითი ვირჩენ თავსა, რომ გიტარას დავუკრავ და ჩემის მოგზაურობის შესახებ ლექციებს წავიკითხავო და ამ გვარად შემოვივლი ყველა სახელმწიფოს სატახტო ქალაქებსაო. მეგობრები დანაძლევებიან და აგერ 8 წელიწადია რაც ბრანდინი მოგზაურობს. თან მოწმობები აქვს, რომლებიდგანაც სჩანს, რომ ბრანდინს შემოუვლია ყველა დიდრონი ქალაქები დასავლეთ ევროპისა, ამერიკისა, გაუვლია მთელი აფრიკა, მცირე აზია, ბალკანიის ნახევარ კუნძული და ეხლა განზრახვა აქვს გაიაროს სპარსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და იაპონია.

ვიდრე ამ ახირებულს მოგზაურობას შეუდგებოდა ბრანდინი იტალიაში ინჟინერმეხანიკად იყო. ბრანდინს მეტად მოხდენილი ტანთ-საცმელი აცვია, მწვანე ფერისა, შავი ჟილეტი, ვიწრო შალვარი და მწვანე სარტყელი აკრავს. მრგვალ განიერ ქუდზედ აწერია იტალიურად „le trovatore giro del mondo“ 1890—1900.

თვით ბრანდინი საკმაოდ წარმოსადეგი ვაჟკაცია. ვიდრე მოგზაურობას დაიწყებდა, გიტარის დაკვრა არ იცოდა, მაგრამ მალე ისწავლა გიტარის დაკვრაცა და სიმღერაც. ზოგიერთ ქალაქებში კონცერტებიც გაუმართავს. თვით ბრანდინი ამბობს, რომ გზაში ბევრი საყურადღებო რამ გადამხედიაო და, რა თქმა უნდა, რომ ასეთს მოგზაურს მართლა ბევრი რამ გადაჰხდებოდა საყურადღებო.

ბრანდინი ბათუმში დარჩება ორ დღეს და მერე ტფილისში წავა. თავისი მოგზაურობა უნდა დაასრულოს 1900 წელს და დანიშნულ დღესა და საათს უნდა გამოცხადდეს იმ სასტუმროში, სადაც მეგობრებს დაენაძლია.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 ივნისი

**პეტერბურგი.** 4 ივნისს ალექსანდრეს სასახლეში მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ წარუდგა სიამის პრინცი შაკაბრონგზე.

**პარიჟი.** ლუბე და დეშანელი იყვნენ ფორთან. როგორცა სჩანს, საჭიროდ არის მიჩნეული, რომ შეთანხმებელი კაბინეტი იქმნას არჩეული და ამითი შეძლება მიეცეთ შეჰკრიბონ კიდევ 40 ხმა რესპუბლიკის მომხრეთა უმეტესობის უზრუნველსაყოფელად, ისე-კა, რომ მემარჯვენე დასისანი არ ერივნენ.

**მოსკოვი.** ბუხარას ემირი 5 ივნისს კიევში მიდის.

**ნიუ იორკი.** გვანტანამოდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ამერიკის ქმეითა ჯარმა დაამარცხა ესპანელების 400 კაცისაგან შემდგარი რაზმიო.

**ვაშინგტონი.** წარმომადგენელთა პალატამ 209 ხმის უმეტესობით 91 წინააღმდეგ შეიწყნარა წინადადება ჰავაის შეერთების შესახებ.

**პარიჟი.** საკასაციო სასამართლომ არ შეიწყნარა ზოლას საასელაციო სასივარი იმის შესახებ, რომ ვერსალის ნაფიცთა მსაჯულთა სასამართლო უკანონოდ მოიქცა და ჩემი საქმე მისდა ქვემდებარედ იცნოო. საიმისო არა მომხდარა.რა. საზოგადოება ცოტა დაისწრო.

**პარიჟი.** ფორმა მთელი დღე საპოლიტიკო მოღვაწეებთან თათბირს მოანდომა. დილით პრეზიდენტმა ინახულა ბრისსონი და შარლ დიუპიუი; ნაშუადღევს ინახულებს რიბოსა, ბურჟუასა და პეტრაილს. აქ იმ აზრისანი არიან, რომ ხვალ დილით იგი მოიხმობს იმ კაცს, რომელსაც უნდა წინადადება მისცეს, კაბინეტი შეადგინეო.

**მადრიდი.** მანილიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ მეამბოხეებმა, აგვინალდონ მეთაუროგით, დაპყრეს ლასპინო და პარამაკვო; თუმცა ესპანელნი გმირულად იგერებდნენ მტერს, მაინც იძულებულნი შეიქმნენ დაჰმორჩილებოდნენ სანოვაგისა და თოფ-ზარბაზნის უქონლობისა გამო. ეკკლესიები და მონასტრები მონატრები საავადმყოფოებად არის გარდაქცეული და სავსეა დაჭრილებით.

### წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ იმათ, რომელთაც აღმოუჩინეს ნივთიერი შემწეობა ახალ-სენაკის ახლად დაარსებულს საქალებო სამრევლო საეკკლესიო სკოლას, სახელდობრ: ბლაღოჩინის თანაშემწეს მღვდელს ათანასე ბაბილუას, რომელმაც შემოსწირა სკოლას 10 მან., მღვდელს ბესარიონ არჩაიას—3 მ., აზნ. გიორგი ლ—ძეს ქავთარაძეს—2 მ., დავით პარკაიას—2 მანეთი, გრიგოლ სოკალსკის—1 მ.; ვასილ ანსეროვს—1 მ.; მაკარი ვასკოვსკის—1 მ.; დეკანოზს გ. ბ—ძეს—1 მ.; ბლაღოჩინს მღვდელს ევგენი შენგელაიას 1 მ. და აგრეთვე დეკანოზს დავით ღამბაშიძეს, რომელმაც გამოუგზავნა სკოლის წიგნთსაცავს მის მიერ გამოცემული ქართული სასულიერო შინაარსის წიგნები და შემდეგშიაც აღუთქვა სკოლას დახმარება; ბ. ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელმაც გამოუგზავნა სკოლას 19 ცალი ქართული წიგნი; დ. ახალ-სენაკში სტამბისა და წიგნის მაღაზიის პატრონთ ძმ. კ. და ს. თავართქილაძეთ, რომელთაც უსასყიდლოდ, დაუბეჭდეს სკოლას შეგირდების ნიშნების დასასმელი მოწმობები და შესწირეს საუკეთესო შეგირდების დასასაჩუქრებლად 40 ცალი ქართული საყმაწვილო წიგნი, და ოზურგეთის მაზრის უფროსს ბ-ნს ი. ა. ლაზარენკოს, რომელმაც შემოსწირა სკოლას ორი ჩარჩო ხელმწიფე იმპერატორის და ხელმწიფა იმპერატრიცას სურათებისათვის და თავის ახალ-სენაკის მაზრის უფროსის თანაშემწედ მყოფობის დროს უჩენდა სკოლას ჯეროვანს დახმარებას.

უკულითადეს მადლობას ვუცხადებთ აგრეთვე სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის გალობის მასწავლებელთ ბ-ნთ ვალერიანე გეგეჭკორსა და დიმიტრი ჭალაგანიძეს, რომელნიც უსასყიდლოდ ასწავლიდნენ სკოლაში პირველი რუსულს საეკკლესიოს და რუსულ და ქართულ საერო გალობას, ხოლო მეორე ქართულს საეკკლესიო გალობას.

იმედია, სხვებიც აღმოუჩენენ ამ ნორჩ სკოლას შემწეობას, რომელიც მთელს სამეგრელოში ერთად-ერთი საქალებო სკოლაა, სადაც ჯეროვანი ყურადღება არის მიქცეული ქართული ენის სწავლებაზე.

განსაკუთრებით მივმართავთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას და ვსთხოვთ აღმოუჩინოს რაიმე დახმარება ამ სკოლას, რომელიც ამ ჟამად ნივთიერად უკიდურესს მდგომარეობაში იმყოფება.

გამგე სკოლისა ბლაღ. მღვდ. არ. კალანდარიშვილი, მასწავლებელი ან. ლომინაძის ასული

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ გამგეობამ მიიღო 1898 წლის მაისის თვის განმავლობაში

1, საწევრო ფული:

ა) დამფუძნებელის წევრებისა;

| | მ. |
|---|---|
| 1, კნ. სოფიო ვასილის ასულის ამირაჯიბისაგან | 28 |
| 2, თ. ივანე ზაალის ძე ბარათაშვილისაგან | 20 |

ბ) ნამდვილის წევრებისა:

| | |
|---|---|
| 1, მარიამ ივან. ასულის დემურიასაგან | 6 |
| 2, ივანე ივან. ძე ზურაბიშვილისაგან | 6 |
| 3, ივანე ნიკოლ. ძე მაჭავარიანისაგან | 6 |
| 4, სოფრონ ზაქარიას ძე მგალობლიშვილისაგან (ნაწილი) | 3 |
| 5, დიმიტრი გიორ. ძე ნაკაშიძისაგან | 6 |
| 6, ეკატერინე ივანეს ასული პავლოვისაგან (ნაწილი) | 3 |
| 7, ნოე ჟორდანიასაგან | 6 |
| 8, თეოფანე მიხ. ძე რუსიშვილისაგან | 6 |
| 9, იორდანე გიორ. ძე სიხარულიძისაგან | 6 |
| 10, ვახტანგ დავ. ძე ღამბაშიძისაგან | 6 |
| 11. ყარამან მანუჩ. ძე ჩიქოვანისაგან | 6 |

სულ 108 მ.

2, ყულაბებში შეგროვილი ფული:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| 1, ალექსანდრა გეორდწითელისაგან | 9 | 42 |
| 2, აბელ იაშვილისაგან | 13 | 66 |
| 3, დეკ. დიმიტრი ხახუტაშვილისაგან | 5 | 90 |
| 4, კნ. მარიამ ჯავახიშვილისაგან | 9 | 50 |

სულ 38 მ. 48 კ.

3, შემოწირულებანი საქველ-მოქმედო ბაზრისათვის

| | მ. |
|---|---|
| 1, ზაქარია გიგაძისაგან | 1 |
| 2, ხოს. გოგინოვისაგან | 1 |
| 3, გიორგი ზარიძისაგან | 1 |
| 4, გიორგი ზუკაკიშვილისაგან | 3 |
| 5, პავლე ყუშიტაშვილისაგან | 3 |
| 6, იაგორ ყუშიტაშვილისაგან | 3 |
| 7, სანდრო წამალაშვილისაგან | 1 |

სულ 13 მ.

4, საზოგადოების აგენტის თომა აბრაამის ძის მთავრიშვილისაგან 10 მ.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ფულის შემომწირველთ და აგრეთვე ო. გოგრიჩიძეს, რომელმაც შემოსწირა საქველ-მოქმედო ბაზრისთვის მშვენივრად ნაკერი ბალიში.


## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

ქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| წყარო არ. ქუთათელაძისა I წიგნი . . . . . | „ | 40 |
| წყარო წიგნი II მისივე . | „ | 50 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |


### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

| უმთავრესი სადგურები | მატარ. № 1 ბაქოდგან ბათუმამდე | | მატარ. № 2 ბათუმიდგან ბაქომდე | | მატარ. № 3 ბაქოდგან ბათუმამდე | | მატარ. № 4 ბათუმიდგან ბაქომდე | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შედის | გამოდ. | შედის | გამოდ. | შედის | გამოდ. | შედის | გამოდ. |
| ბათუმი | 8.47 | — | — | 8.20 | 8.33 | — | — | 8.35 |
| სამტრედია | 5.31 | 5.46 | 11.21 | 11.36 | 4.50 | 5.05 | 12.05 | 12.20 |
| ყვირილა | 3.37 | 3.47 | 1.22 | 1.32 | 2.48 | 2.58 | 2.16 | 2.26 |
| ხაშური | 12.41 | 12.56 | 4.38 | 5.00 | 11.47 | 12.02 | 5.26 | 5.41 |
| გორი | 11.23 | 11.32 | 6.06 | 6.18 | 10.23 | 10.33 | 6.45 | 6.55 |
| ტფილისი | 8.26 | 9.10 | 8.22 | 9.05 | 6.33 | 7.48 | 9.07 | 10.57 |
| აქსტაფა | 5.23 | 5.32 | 11.43 | 11.51 | 2.53 | 3.18 | 1.45 | 2.08 |
| განჯა | 2.23 | 2.37 | 2.35 | 2.55 | 11.39 | 11.54 | 5.18 | 5.40 |
| უჯარა | 10.43 | 10.53 | 6.08 | 6.20 | 7.39 | 7.49 | 9.14 | 9.24 |
| აჯიქაბული | 7.29 | 7.44 | 9.19 | 9.30 | 3.57 | 4.17 | 1.00 | 1.25 |
| ბაქო | — | 4.05 | 12.59 | — | — | 12.20 | 5.45 | — |

შენიშვნა: შავს ხაზებში მოქცეული საათი და წუთი ღამესა ჰნიშნავს, უხაზო—დღეს.

სამტრედიასა და ფოთს შორის ორი მატარებელი დადის: პირველი სამტრედიიდგან გადის დილის 5 საათსა და 05 წუთ. და ფოთში შედის დილის 7 საათსა და 42 წუთ., მეორე—სამტრედიიდგან გადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ფოთში შედის საღამოს 10 ს. 08 წ.; პირველი—ფოთიდგან გამოდის საღამოს 8 ს. 55 წ. და სამტრედიაში მოდის საღ. 11 ს. 30 წ., მეორე ფოთიდგან გამოდის დილის 6 ს. 27 წ., სამტრედიაში მოდის დილის 8 ს. 55 წ.

სამტრედიასა და რიონს შორის; სამტრედიიდგან გადის დილის 9 ს. 10 წ., რიონში ჩადის დილის 10 ს. 02 წ. და ესევე მატარებელი რიონიდგან ქუთაისს გადის 10 ს. 10 წ. და ქუთაისში ჩადის 10 ს. 35 წ.

რიონიდგან ქუთაისსვე გადის მატარებელი დილის 5 ს. 30 წ., ქუთაისს ჩადის 5 ს. 55 წ., ქუთაისიდგან რიონს გამოდის დღის 5 ს. 20 წ., რიონში ჩადის 5 ს. 45 წ.

შორაპან-რიონი. შორაპნიდგან გადის დილის 7 ს., რიონში ჩადის დილის 8 ს. 11 წ., რიონიდგან გადის დღის 2 ს. 53 წ., შორაპანში ჩადის დღის 4 ს. 02 წ. ეს მატარებელი შორაპანსა და ქუთაისს შორის პირდაპირ დადის და მგზავრთ სხვა მატარებელში გადასხდომა არა სჭირდებათ.

Дозволено цензурою. Тифлисъ 5-го Іюня 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.